

## სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის როლი ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემების განვითარებასა და კრიზისების დაძლევაში

### ზაზა წვერავა

საჯარო მმართველობის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, [ztsverava@gmail.com](mailto:ztsverava@gmail.com)

### ლაშა წვერავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის დოქტორანტი, [lsverava96@gmail.com](mailto:lsverava96@gmail.com)

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პოლიტიკა, პანდემია, მმართველობითი ორგანოები, თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიები, ციფრული სივრცე.

J.E.L. classification: M38, O31, O32, O38

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.06>

**ანოტაცია.** ახალი კორონავირუსის (COVID-19) ინფექციამ მნიშვნელოვნად შეცვალა საზოგადოებაში თითოეული ადამიანის ცხოვრების წესი. მან საზოგადოება დააყენა არამხოლოდ გლობალური პრობლემების წინაშე, არამედ ის გახდა ახალი ინოვაციური მიდგომების, ციფრული ტრენდების შემუშავებისა და დანერგვის მიზეზიც. სტატიაში განხილულია თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა განვითარებული სახელმწიფოებისა და საქართველოს მმართველობითი ორგანოების მიერ ინოვაციური პოლიტიკის წარმართვის პრაქტიკა და გამოცდილება. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საჯარო მმართველობით სფეროში ინოვაციური და თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს არათუ მართვის დამხმარე საშუალებას, არამედ ის არის მართვის მთავარი და აუცილებელი ინსტრუმენტი.

**ციტირებისთვის:** წვერავა ზ., წვერავა ლ., (2021) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები COVID-19 პირობებში: მწვანე ინვესტიციების კონტექსტი. ეკონომიკური პროფილი №2(22), გვ. 64–71. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.06>

### შესავალი

მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, კორონავირუსისაგან გამოწვეული, სხვადასხვა მიმართულებით არსებული კრიზისები დაძლევის პროცესშია. პანდემიამ როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე მრავალი პრობლემა შექმნა და მათთან გამკლავება მთავარი პრიორიტეტი გახდა.

თანამედროვე მსოფლიოში მოვლენები სწრაფად ვითარდება. პანდემიამ გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოების მიერ არა მხოლოდ ეპიდემიოლოგიური ვითარების დროს, არამედ ნებისმიერი კრიზისის პირობებში, ინოვაციური პოლიტიკის წარმართვა. სწორედ დინამიურმა და სწრაფად ცვალებადმა ყოველდღიურობამ დაარწმუნა მსოფლიო იმაში, რომ

ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემების სწრაფი განვითარების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს (Lupton, Willis, 2021).

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორიას მრავალი ეკონომიკური კრიზისი ახსოვს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული და რომელთა საფუძველზე მრავალი რეგიონული თუ საერთაშორისო კრიზისი დაწყებულა. ხსენებულის ერთ-ერთი მიზეზი კი ალბათ ის გახლდათ, რომ იმდროინდელი ლიდერები, რომელთა გადაწყვეტილებებზეც იყო დამოკიდებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ამინდის შექმნა, კარგად ვერ იაზრებდნენ განსხვავებას ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების კონცეფციებს შორის, რომლის გაცნობიერებასაც ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის შესაძლოა მრავალი კრიზისი აცილებინა თავიდან (Bhasin, 2021).

სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა სახელმწიფომ გაითავისა ინოვაციური პოლიტიკის წარმართვის მნიშვნელობა, რომელზეც დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობა, არამედ მსოფლიო განვითარების ბედიც. გლობალიზაციის პროცესში ინოვაციური პოლიტიკის მართებულად გამოყენებამ გვაჩვენა, რომ სწორედ ის განსაზღვრავს მეტწილად პოლიტიკურ სტაბილურობას, ნაციონალური ეკონომიკის გაჯანსაღებას და შესაბამისად ეკონომიკური მაჩვენებლის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში სოციალურ კეთილდღეობას განაპირობებს და ზრდის ქვეყნის რეგიონულ და გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

### **ძირითადი ტექსტი**

როდესაც ვაანალიზებთ ინოვაციური პოლიტიკის როლს ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემების განვითარებისა და კრიზისების მართვის პროცესში, აუცილებელია მიმოვიხილოთ და გავიზიაროთ განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება და მიდგომები. ამ კუთხით აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც წარმოადგენს გლობალური პოლიტიკის უპირობო ლიდერს. ქვეყანაში მაქსიმალურად ეძლევა საშუალება მსხვილ და საშუალო ბიზნესს გამოიყენონ ინოვაციური მიდგომები. ამასთან, სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინოვაციური სისტემის განვითარებაში, ხოლო, პოლიტიკა განათლების, მეცნიერებისა და ინოვაციების მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი სტარტაპებს უჭირავთ. აშშ-ში დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიკის ამ სეგმენტის წახალისებასა და განვითარებას, რის შედეგადაც მრავალი წარმატებული კომპანია ჩამოყალიბებულა. ისინი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და პოლიტიკური სტაბილურობის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. (The Aspen Institute, Aspen Cybersecurity Group, 2019).

ამერიკის შეერთებული შტატები ინოვაციური პოლიტიკის განვითარების კუთხით სხვადასხვა ბერკეტს იყენებს. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს განახორციელოს კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის პირდაპირი სტიმულირება, შექმნას სათანადო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური საქმიანობისადმი ინტერესის ზრდას, ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თავად ინოვაციური საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის

ეკონომიკის და პოლიტიკის მიმართულებით დანერგვას, მათ გამოყენებასა და გაუმჯობესებას. ქვეყანაში ინოვაციური პოლიტიკა იმგვარად არის წახალისებული და წარმართული, რომ მისი განხორციელება გამორიცხავს შტატებს შორის სოციალურ-ეკონომიკურ ჩამორჩენას, რაც შედეგის კუთხით დადებითად აისახება ქვეყანაზე. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის შედეგი თავად ხსენებული ინოვაციური მიდგომებისა და პროდუქტების პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემებში დანერგვაა. ამასთან, ინოვაციური პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებული პროდუქტის საერთაშორისო დონეზე გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება თავად ქვეყნის ცნობადობის ამაღლება და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაღრმავება.

ჩინეთი სიდიდით მეორე ეკონომიკაა მსოფლიოში, რომელმაც ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ინოვაციების კუთხით. ჩინეთში, ისევე როგორც აშშ-ში დიდი ყურადღება ეთმობა ინოვაციურ პოლიტიკას და მის წარმატებით გამოყენებას ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესების საქმეში. 90-იანი წლების დასასრულს ჩინეთში მიღეს კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სამეცნიერო კვლევებისა და სამეწარმეო საქმიანობის რიცხოვნობა და შედეგად გაჩნდა მსხვილი ჩინური კომპანიები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის, ინოვაციურ ბაზარზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ (O'Callaghan, Moon, Sohn, 2021).

დღეის მდგომარეობით ჩინეთი იღებს მრავალ წამახალისებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს (შელავათიანი საგადასახადო პირობები, მიზნობრივი პროგრამები, პატენტის დაფინანსება და ა.შ.), რომელთა მიზანსაც წარმოადგენს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ინოვაციური ბაზრის განვითარება. ამასთან, ფუნქციონირებს სახელმწიფო სისტემა, რომლის მიზანსაც წარმატებული ინოვაციური პროგრამების პირდაპირი დაფინანსება წარმოადგენს.

ინოვაციური პოლიტიკის წარმართვის საკითხში ასევე მნიშვნელოვანია იაპონიის მაგალითიც. იაპონიის ინოვაციური პოლიტიკა წარმოადგენს აზიური მოდელის ერთ-ერთ გამორჩეულ მაგალითს, სადაც ტექნოლოგია და საზოგადოება ჰარმონიულად ვითარდება და ქვეყანა უამრავ სფეროში ორიენტირებულია სწორედ ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რამაც საშუალება მისცა მოსახლეობას უცხოური მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები ქვეყნის განვითარების პროცესში მარტივად გამოეყენებინა.

იაპონიაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა სახის ინოვაციების, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროცესში დანერგვას, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან კომპანიებისათვის ფინანსურ დახმარებებს. ამასთან, დაარსდა ინოვაციური განვითარების რისკების კვლევის ინსტიტუტი და განხორციელდა ინტელექტუალური საკუთრების სუბსიდირების პროგრამები, ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო პროექტების წახალისების პროცესს. მართალია ამ კუთხით იაპონია მსოფლიო მაშტაბით კონკურენციას ვერ უწევს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ ქვეყანა მოწოდებულია აამაღლოს ცხოვრების დონე და შეუთავსოს ერთმანეთს ინოვაციური და ეკოლოგიური პოლიტიკა (Kuznets, 1998).

როგორც უკვე აღინიშნა, პანდემიამ საზოგადოება დააყენა არა მხოლოდ გლობალური პრობლემების წინაშე, არამედ ის გახდა ახალი ინოვაციური მიდგომების, ციფრული

ტრენდების შემუშავებისა და დანერგვის მიზეზი. ეპიდემიოლოგიური ვითარების დროს ინოვაციური პროდუქტების გამოყენებამ გვიჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური პოლიტიკის წარმართვა და განვითარება, ასევე, ამა თუ იმ საქმიანობის დიგიტალიზაცია. პანდემიამ დაგვანახა თუ რამდენად განსხვავდება მაღალტექნოლოგიური კომპანიები სხვა კომპანიებისაგან და წარმოაჩინა მათი უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კუთხით. პანდემიის პერიოდში სხვადასხვა გლობალურმა თუ რეგიონულმა კომპანიებმა სოციალური მედიისა და ონლაინ კომუნიკაციების საშუალებით დაიწყეს გაორმაგებული ურთიერთობა მათი საქმიანობის წარმართვის პროცესში, ხოლო მრავალი სახელმწიფო, არასახელმწიფო თუ ადმინისტრაციული ორგანო გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე და ხშირად ხდებოდა საქმისწარმოების პროცესში ვიდეოკომუნიკაციის სპეციალური საშუალებების გამოყენება.

აღსანიშნავია ესტონეთის და შესაბამისად მისი ელ-მმართველობის მაგალითი. ამ მიმართულებით ინოვაციური პოლიტიკის გატარებამ ესტონეთს მისცა საშუალება, რომ მოეხდინა თვით სოფლებში მაცხოვრებელი მოსახლეობის უმრავლესობისათვის ინტერნეტის შეუფერხებელი მიწოდება. მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება ელექტრონულად შეუძლიათ, ხოლო, ექიმებს დაუბრკოლებლად აქვთ შესაძლებლობა იხილონ პაციენტთა ონლაინ საბუთები რაც მომსახურების დროულობასა და ეფექტურობაზე მიუთითებს (Vassil, 2016).

პანდემიით გამოწვეული რისკების გათვალისწინებით, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში მრავალი სახელმწიფო, არასახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანო გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, ხოლო, საქმისწარმოების პროცესში ხდებოდა სხვადასხვა ვიდეოკომუნიკაციის სპეციალური საშუალებების გამოყენება. შესაბამისად, ამ პროცესებმა წარმოაჩინა ინოვაციური პოლიტიკის, მათ შორის, თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის გამოყენების მნიშვნელობა, რომელსაც სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია.

მიუხედავად სხვადასხვა ღონისძიებისა, საქართველო ინოვაციურობის მაჩვენებლით ჩამორჩება მოწინავე ქვეყნებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მონაცემი სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით ითვლება (ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, ინფრასტრუქტურა, შემოქმედებითობა, ბიზნესისა და ბაზრის განვითარების დონე, ცოდნა და ტექნოლოგიები), დავასკვნით, რომ ქვეყანას სასურველი შედეგის მისაღებად ინოვაციური პოლიტიკის მიმართულებით ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვს გასატარებელი. განვითარებული ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ პირველ რიგში აუცილებელია განხორციელდეს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის შეფასება, მოხდეს სხვადასხვა სახის სამეცნიერო თუ არასამეცნიერო კვლევა-განვითარების ინვესტირება, განხორციელდეს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოგვარება და ამ მიმართულებით განვითარება (Global Innovation Index, 2021).

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა და სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, ასევე, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შედწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. ხსენებული კანონმდებლობა ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობების ხელშეწყობ ინფრასტრუქტურაზე, ასევე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე („ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, 2016).

აღნიშნულ კანონში ასევე მიეთითა ქვეყანაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ძირითადი ამოცანა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის მამტაბით ინოვაციების კომერციალიზაციას და ახდენს ინოვაციების გამოყენების სტიმულირებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მისიას ასევე წარმოადგენს საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო გარემოს ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, პროდუქტების ექსპორტის საჭირო გარემოს შექმნა და ქვეყნის მამტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ბრძანება №1-1/66, 2014). შესაბამისად, წარმატებული ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს იმასაც, რომ აუცილებელია სახელმწიფოსა და სააგენტოს მჭიდრო ურთიერთობა თავად ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც გამოიხატება სხვადასხვა ტექნოპარკების, ინოვაციური ცენტრებისა და ლაბორატორიების დაარსებაში.

## დასკვნა

ინოვაციური პოლიტიკა, მათ შორის, თანემდროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება ნებისმიერი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუტისათვის წარმოადგენს მართვის არა დამხმარე, არამედ მთავარ და აუცილებელ ინსტრუმენტს.

მართალია საქართველოში ინოვაციებზე დაფუძნებული პოლიტიკის მშენებლობის კუთხით არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, რაც მიუთითებს ქვეყნის მზაობას ინოვაციური მიდგომებისადმი დანერგვის მხრივ, მაგრამ ქვეყანას საერთაშორისო მამტაბით წარმატებული შედეგის მიღწევამდე ბევრი აკლია, რამდენადაც გლობალიზაციის ეპოქაში კონკურენცია საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, აუცილებელია წარმატებული ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის გაზიარება და სწორი განვითარება, საქართველოს ინოვაციური პოტენციალის შეფასება, საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა და მიღებული ცოდნის საფუძველზე სახელმწიფოს მჭიდრო ჩართულობა პროექტების განხორციელების საკითხში. ყოველივე ზემოაღნიშნული კი,

აუცილებლად შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემების გაუმჯობესებასა და თანამედროვე სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

### ლიტერატურა

1. Lupton D., Willis K., (2021). The COVID-19 Crisis Social Perspectives. Routledge, London.
2. Bhasin K., (2012). This is The Difference Between invention And Innovation. Business Insider.
3. The Aspen Institute, Aspen Cybersecurity Group, (2019). AN INNOVATION CHALLENGE FOR THE UNITED STATES. Washington, DC.
4. Andreosso-O'Callaghan B., Moon W., Sohn W., (2021). Economic Policy and the Covid-19 Crisis, The Macroeconomic Response in the US, Europe and East Asia. Routledge, London.
5. Kuznets P., (1988). An East Asian Model of Economic Development: Japan, Taiwan, and South Korea, Economic Development and Cultural Change. Indiana University, Bloomington, Indiana.
6. Vassil K., (2016). Estonian e-Goverments Ecosystem: Foundation, Applications, Outcomes. World development report.
7. საქართველოს პარლამენტი, „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი №5501-III. 2016.
8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №1-1/66. 2014.
9. Global Innovation Index (GII). URL: <https://www.globalinnovationindex.org/>.
10. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA). URL: <http://gita.gov.ge>.